“ინტერნეტ ფილტრით” სარგებლობის წესები და პირობები

1.1. „ინტერნეტ ფილტრი“ წარმოადგენს შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - ოპერატორი) მიერ შემუშავებულ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს აბონენტს ფიქსირებული და მობილური ინტერნეტ მომსახურების ფარგლებში, შეზღუდოს ინტერნეტგვერდების ხელმისაწდომობა სპეციალური სარეინტინგო სიის საფუძველზე, ასაკობრივი ნიშანდების მიხედვით.

1.2. „ინტერნეტ ფილტრის“ გააქტიურებით აბონენტი ეთანხმება წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ და ოპერატორის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სარგებლობის წესებსა და პირობებს.

1.3. სარეიტინგო სიის შედგენას/განახლებას ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვედზე. სარეიტინგო სია მოიცავს ინტერნეტგვერდებს, სადაც განთავსებულია აუდიოვიზუალური პროდუქცია (პროგრამები, თამაშები, ფილმები, მათ შორის ანიმაციური ფილმები და სერიალები).

1.4. სარეინტინგო სია წარმოადგენს იმ ინტერნეტგვერდების ჩამონათვალს, რომელიც მოცემულია კომისიის ვებ-გვედზე და რომელზე წვდომაც, აბონენტის სურვილის შემთხვევაში, შეიზღუდება შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდებების მიხედვით.

1.5. „ინტერნეტ ფილტრის“ გააქტიურება შესაძლებელია შემდეგი ასაკობრივი ნიშანდებით:

1.5.1 ინფორმაცია შეუფერებელია 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის;

1.5.2 ინფორმაცია შეუფერებელია 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის;

1.5.3 ინფორმაცია შეუფერებელია 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის;

1.5.4 ინფორმაცია შეუფერებელია 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის.

1.6. „ინტერნეტ ფილტრის“ ჩართვა/გამორთვა შესაძლებელია:

1.6.1 ოპერატორის მომსახურების ოფისში წერილობითი განაცხადის შევსებით; ან

1.6.2 ოპერატორის პორტალის (mymagti.ge) საშულებით. ამასთან, პორტალზე სერვისის ჩართვა/გამორთვა შეუძლია მხოლოდ იდენტიფირებულ მომხმარებელს (პორტალის საშუალებით „ინტერნეტ ფილტრის“ ჩართვა/გამორთვა, ისევე როგორც იდენტიფიცირების პროცედურა და წესები მოცემულია პორტალზე), იდენტიფიცირებისას არჩეული პინ-კოდის საშუალებით.

1.7. „ინტერნეტ ფილტრის“ აქტივაცია არ გულისხმობს, რომ შეიზღუდება ინტერნეტ სივრცეში არსებული და ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია/კონტენტი, არამედ შეიზღუდება მხოლოდ სარეინტინგო სიაში არსებული ინტერნეტგვერდები.

1.8. აბონენტს შეუძლია მის სახელზე გაფორმებულ ნომერზე/UID-ზე „ინტერნეტ ფილტრის“ გააქტიურება თუ:

- მოქმედი ხელშეკრულების საფუძველზე ოპერატორისაგან მიეწოდება ოპტიკური ან/და მობილური ინტერნეტ მომსახურება; და
- არ აქვს შეზღუდული/შეჩერებული/შეწყვეტილი აღნიშნული მომსახურებ(ებ)ის მიწოდება.

1.9. ოპერატორი უფლებამოსილია დროდადრო შეცვალოს „ინტერნეტ ფილტრის“ პირობები, რის თაობაზეც აცნობებს აბონენტს ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.10. აბონენტი აცნობიერებს, რომ სარეიტინგო სიების შედგენა/განახლება ხორციელდება კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ოპერატორი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ინტერნეტგვერდების შესაბამისი ნიშანდების მინიჭების ან არ მინიჭების ან არასწორი მინიჭების სისწორეზე.

1.11. როუმინგის მომსახურების შემთხვევაში, ინტერნეტ მომსახურების მისაღებად, აბონენტმა თავად უნდა შეცვალოს მობილურ ტელეფონში ინტერნეტით სარგებლობისათვის აუცილებელი პარამეტრი - APN, რომელიც შეესაბამება მის მიერ წინასწარ არჩეულ ასაკობრივ ნიშანდებას, კერძოდ: ინფორმაცია შეუფერებელია 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის - APN: R7; 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის -

APN: R12; 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის - APN: R15; 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის - APN: R18.